ახალი ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი • 285 (12) 27 აპრილი, 2015 წ

ხარაგაულში ახალი ამბულატორია პრემიერ-მინისტრმა გახსნა

25 აპრილს ხარაგაულის ახლადაშენებული ემერჯენს ამბულატორია, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან დავით სერგეენკოსთან და იმერეთის მხარის გუბერნატორთან გივი ჭიჭინაძესთან ერთად ოფიციალურად გახსნა.

გახსნის ცერემონიალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ ებანოიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ემერჯენს ამბულატორიის საერთო ფართობი 435 კვადრატული მეტრია და ის როგორც მცირე საოპერაციოს, ასევე - რამდენიმე ადგილიან პალატას მოიცავს. პროექტის ჯამური ღირებულება 548 045 ლარია. უახლოეს მომავალში, ამბულატორიის გვერდით ორსართულიანი, 15-საწოლიანი მრავალპროფილური კლინიკა გაიხსნება.

ახალი სამედიცინო პუნქტის გახსნის შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ემერჯენს ამბულატორიის მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრებილ მოსახლეობას გაესაუბრა. ადგილობრივებმა პრემიერს ამბულატორიის გახსნისთვის მადლობა გადაუხადეს და განაცხადეს, რომ დღემდე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღება ურთულეს პირობებში უწევდათ. მთავრობის მეთაურმა ადგილობრივების პრობლემებიც მოისმინა. მოსახლეობამ ძირითად პრობლემად წყალმომარაგება და უმუშევრობა დაასახელა. როგორც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა განმარტა, ხარაგაული წლის ბოლომდე 24-საათიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილის** განაცხადებით ,,ხარაგაულში ახალი ამბულატარიის გახსნა ძალიან მნიშვნელოვანია. ამ საკითხის მოგვარება უფრო ადრე იყო შესაძლებელი, მაგრამ ყველა პრობლემის მოგვარება ერთ დღეში ვერ მოხერხდება. თანმიმდევრობით მივდივართ და გეგმაზომიერ ნაბიჯებს ვდგამთ. იმედი მაქვს, რომ აქ დასაქმებული ექიმები კვალიფიციური მომსახურებას გაუწევენ მოსახლეობას. მუნიციპალიტეტის გამგელობა დაიწყება, მუნიციპალიტეტი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობასაც ვუზრუნველყოფთ. ასევე ვიზრუნებთ მოვაგვაროთ ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემაც, რათა ყველა ხარაგაულელისთვის ხელმისაწვდომი იყოს საავადმყოფომდე მოსვლა."

გამგეობის თანამშრომლებმა გაფრთხილება მიიღეს

23 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა, გამგეობის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების დისციპლინალური შემოწმება დაიწყო. ამ ეტაპზე მხოლოდ გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურების გადამოწმება მოხდა. გაფრთხილება მიიღეს სამსახურების უფროსებმა და შენიშვნები იმ თანამშრომლებმა, რომლებიც სამუშაო გრაფიკის ხშირ დარღვევაში არიან შემჩნეულნი. „მაქვს ინფორმაცია მასიური ხასიათი მიიღო საჯარო სამსახურების თანამშრომელთა მხრიდან სამსახურისადმი გულგრილმა და ზერელე დამოკიდებულებამ. ჩემს მოადგილეებს ვაძლევ დავალებას - თითოეულმა თქვენს საკურატორო სფეროს მიხედეთ, გაამკაცრეთ ღონისძიებები იმ პირთა მიმართ, რომელნიც არასტაბილური რეჟიმით დადიან სამსახურებში. ასევე ვაძლევ დავალებას აუდიტისა და შიდა მონიტორინგის სამსახურს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და გამოავლინონ ისეთი ფაქტები, რომელიც სამსახურებრივ უფლება-მოვალეობის გადაცდომასთანაა დაკავშირებული. ჩვენ ჩასაფრებულის პოზიციიდან ნამდვილად არ ვიქცევით. ხშირად მესმის კულუარული

კრიტიკა მაღალი თანამდებობის პირების მისამართით მათგან, რომლებიც თავად უფრო ხშირად და უხეშად არღვევენ დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს. სამსახური ვერ მოერგება საჯარო მოხელეს, ეს უკანასკნელი თავად უნდა მოიქცეს ისე როგორც ამას კანონი ავალებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ კანონით დადგენილი ღონისძიებები გატარდება. თუ რომელიმე თანამშრომელს კონკრეტული და არგუმენტირებული მიზეზი აქვს კანონით დადგენილისგან განსხვავებული გრაფიკით ისარგებლოს, ამისთვის განცხადებით უნდა მოგვმართოს. არ მახსენდება, რომ ასეთი განცხადებით მომართვის შემთხვევაში საკითხი არ გაგვეთვალისწინებინოს. გარკვეული დაშვებები, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, ნამდვილად შეგვიძლია გავაკეთოთ. არა მგონია სამსახურების უფროსები და თანამშრომლები ამაზე ინფორმაციებს არ ფლობდნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამის გაკეთება არ სურთ და მაინც თავიანთ ნებაზე იქცევიან“ - განაცხადა კობა ლურსმანაშვილმა ზემოთ აღნიშნულ სამსახურებთან შეხვედრისას და დასძინა „მსგავსი ხასიათის ღონისძიებები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და საჯარო სამსახურების გარდა ყველა საბიუჯეტო დაწესებულება და ა(ა)იპი გაივლის შემოწმებას. სიმართლე გითხრათ ამაზე საუბარი, თანაც ასეთ ფორმატში სულაც არ მსიამოვნებს, მაგრამ აშკარად ვგრძნობ ზოგიერთ თანამშრომელს პასუხისმგებლობის გრძნობა არ აქვს და სამსახურს პატივს არ სცემს“.

თეა ბერიძე

ლობელი, კობა ლურსმანაშვილი მოწოდებულია, დაეხმაროს თავის რაიონს, რაც ვფიქრობ ყველაზე მთავარია. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს რეგიონების გაძლიერებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.“

ჯანდაცვის მინისტრმა **დავით სერგეენკომ** განმარტა, რომ ,,ხარაგაულში შემდეგ ეტაპზე ამბულატორიის გვერდით ორსართულიანი, 15-საწოლიანი მრავალპროფილური კლინიკა გაიხსნება. აქამდე სამედიცინო მომსახურებისათვის მოსახლეობა ზესტაფონში ან სხვა მუნიციპალიტეტში დადიოდა. საბედნიეროდ, ეს პრობლემა უკვე მოიხსნება.“

კობა ლურსმანაშვილი (მუნიციპალიტეტის გამგებელი): ,,მოხარული ვარ, რომ დღეიდან ხარაგაულის მოსახლეობა შეძლებს ყველა სახის ამბულატორიული მომსახურება ახალ დაწესებულებაში მიიღოს. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პროექტის განხორციელებაში დაგვეხმარა, განსაკუთრებით ბატონ დავით სერგეენკოს. ეს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი მუშაობის შედეგია. ამბულატორიის მოწყობაში მუნიციპალიტეტმა თავისი წვლილი შეიტანა - ჩვენი დაფინანსებით მოხდა გარე პერიმეტრის მოწესრიგება და შიგა კომუნიკაციების მოწყობა. სამომავლოდ, როცა სტაციონარის მშენებ-

ამბულატორიაში 42 თანამშრომელია დასაქმებული. მოხდა ექთნებისა და რეგისტრატორების დამატება. მედპერსონალი ამჯერად კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს გადის.

ეკა შავიძე

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საარსრულებო ბიურო ყოფილი პოლიციის შენობაში განთავსდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N19ა–ში მდებარე შენობის მეორე სართულზე 9.24 კვმ. ფართი სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის წესით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადაეცემა. ამის შესახებ დეპუტატებმა 20 აპრილს გამართულ ბიუროს სხდომაზე იმსჯელეს და გადაწყვეტილებას 4 მაისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე მიიღებენ. შეგახსენებთ რომ, აღნიშნულ სამსახურში მოქალაქეთა მიღება იწარმოებს კვირაში ორჯერ, ორშაბათსა და პარასკევს.

შესაძლებელია უბისა-ბორითი- ხევის მოაკვეთზე მუნიციპალური ტრანსპორტი დაინიშოს

ამის შესახებ დეპუტატებმა 20 აპრილის ბიუროს სხდომაზე იმსჯელეს. საკითხი მათ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ გააცნო. როგორც პროექტშია მითითებული მგზავრობის ღირებულება სავარაუდოდ 50 თეთრი იქნება. აღნიშნული საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას დეპუტატები მორიგი საკრებულოს სხდომაზე მიიღებენ.

ვაკანსია

გაზეთი ,,ახალი ხარაგაული“ აცხადებს ვაკანსიას **ჟურნალისტის** თანამდებობაზე. სასურველია დაინტერესებულ პირს ჰქონდეს ჟურნალისტური განათლება ან ამ კუთხით მუშაობის გამოცდილება.

მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე:
595-51-98-12 .

ბიუროს სხდომაზე შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში მოისმინეს

20 აპრილს საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ განეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხი მათ სამსახურის უფროსმა ბესარიონ ჭიპაშვილმა გააცნო.

აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა ბიუროს წევრებს სამსახურის მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე. მან დეტალურად ისაუბრა იმ დარღვევების შესახებ, რომლებიც აუდიტორიული შემოწმების შედეგად ა(ა)იპ-ებში გამოვლინდა და დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებსაც უპასუხა. ანგარიშის მოსმენის შემდეგ საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრება გამოხატა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ვარლამ ჭიპაშვილმა**: ,,მქონდა საშუალება გავცნობოდი შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიშს, რომელშიც ჩემი ყურადღება განსაკუთრებით შპს ,,2011"-ის შემოწმების შედეგად დადებულმა დასკვნამ მიიქცია. 2013 წელს აუდიტის დასკვნის საფუძველზე საწარმო ქონების წლიურ დეკლარაციაში ნაჩვენებია ნარჩენი ღირებულება 10 436 ლარი, რაზეც ქონების გადასახდელის სახით დარიცხულია 1 040 ლარი, მაშინ როდესაც ნარჩენი ღირებულება უნდა შეადგენდეს 143 561 ლარს, ხოლო ქონების გადასახდელის სახით 1435 ლარი უნდა იყოს დარიცხული. ირკვევა, რომ იმაზე ნაკლებია გადახდილი, ვიდრე უნდა იყოს, კანონი დარღვეულია. ქონება, რომელიც გაფანტული იყო ადმინისტრაციულ ერთეულებში, დეკლარაციაში არ იყო ნაჩვენები. სწორედ აქედან გამომდინარე, გამოვიდა ქონების ღირებულება უფრო ნაკლები. იკვეთება ორი სერიოზული დანაშაული. ერთი, რომ ქონების აღრიცხვა სრულყოფილად არ მოხდა და მეორე - ქონების გადასახადი ნაკლები გამოვიდა. ადმინისტრაციულ ერთეულებში გაფანტულ ქონებას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ვიცი, რომ შპს „2011"-ის ბალანსზე არსებული ტექნიკა რეალურად გაჩანაგებულია. მათი რემონტისთვის საკმაოდ დიდი თანხებია საჭირო, რასაც ჩვენი ბიუჯეტი ვერ გაწვდება. შესაბამის ორგანოებში უნდა იქნას ეს საკითხები შესწავლილი და პასუხი უნდა აგონ იმ პიროვნებებმა, რომელთაც ფაქტიურად მუნიციპალიტეტის ქონება გააჩანაგეს."

ბატონმა ვარლამმა ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გვერდზე ხელშეკრულებების ატვირთვაზეც. როგორც ანგარიშიდან ირკვევა ამ მიმართულებით დარღვევა თითქმის ყველა სამსახურში აღმოჩნდა. ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გვერდზე ხელშეკრულებები ატვირთული არ ჰქონდათ.

საკრებულოს თავმჯდომარის ინგა მაღრაძის თქმით, ანალოგიური პრობლემა შემდგომშიც რომ არ განმეორდეს, აუცილებელია ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელებმა შესყიდვების კუთხით კადრების გადამზადება უზრუნველყონ.

საუბრის დასასრულს, **ვარლამ ჭიპაშვილი** შეეხო ასევე სპორტსმენებისათვის მივლინებაში ყოფნის პერიოდში კვების ხარჯების ანაზღაურებას. აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიშში მითითებულია, რომ სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურმა ცენტრმა ვერ წამოადგინა დოკუმენტი, რომელშიც დასაბუთებული იქნებოდა თანხის ოდენობის მიზანშეწონილობა. ,,თუ კვების ხარჯი გაწერილია დღეში რვა ლარი, ეს ნაკლებად არის ორგანიზაციის ხარვეზი. ზოგადად არაა კანონმდებლობის დონეზე დადგენილი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ამ ტიპის ორგანიზაციები იხელმძღვანელებენ. რაც შეეხება ხარაგაულის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ცენტრს, მისასალმებელია, რომ ყველაზე ნაკლები ხარვეზი ამ ორგანიზაციაში აღმოჩნდა. არა და ხშირ შემთხვევაში, გარკვეული პიროვნებების მხრიდან დარტყმისა და კრიტიკის საგანი სწორედ ეს სამსახურია, ანგარიშით ფაქტობრივად ყველაფერი ნათელი გახდა" - აღნიშნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ.

უფრო ვრცლად შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიშის შესახებ დეპუტატები 4 მაისის საკრებულოს სხდომაზე იმსჯელებენ.

ეკა შავიძე

გასულ წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური მიმართულებით 726.7 ათასი ლარი დაიხარჯა

20 აპრილს გამართულ ბიუროს სხდომაზე, გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა, ნანა კიკნაძემ, დეპუტატებს სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში გააცნო. ქალბატონმა ნანამ ვრცლად ისაუბრა იმ სოციალური პროგრამების შესახებ, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება. მისივე ინფორმაციით მუნიციპალიტეტში სოციალური დაცვის მიმართულებით ოთხი ძირათადი და თერთმეტი ქვეპროგრამა მოქმედებს. 2014 წელს ამ კუთხით ადგილობრივი ბიუჯეტიდან 726.7 ათასი ლარი დაიხარჯა და სხვადასხვა სახის დახმარება 4384 ბენეფიციარს გაეწია.

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ყურადღება სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ყველა ადმინტრაციულ ერთეულში ამ მიმართულებით კეთილსაიმედო მდგომარეობაა. მისივე თქმით, ინტენსიურად ხორციელდება სამედიცინო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მონიტორინგი ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. პერსონალს ეძლევა რეკომენდაციები, რომ ყურადღება იქნას გამახვილებული საკვები პროდუქტების ხარისხზე, შენახვის პირობების ზედმიწევნით დაცვაზე და სწორად დამუშავება-მომზადებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე დაინტერესდა ბორის სკოლა-პანსიონის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობით. მისი განცხადებით, არავინ იცის ბავშვები იქ რა მდგომარეობაში არიან.

ინგა მაღრაძის ამ განცხადებას საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი გამოეხმაურა.

,,ბორის სკოლა- პანსიონში არსებულ მდგომარეობას ადგილზე გავეცანი. ხმამაღლა ვიტყვი, რომ სკოლაში ყველა მიმართულებით ხელშეწყობაა და არაფერი კანონსაწინააღმდეგო იქ არ კეთდება. არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სკოლის პარტნიორია, სათანადო ყურადღებას აქცევს მას და საკმაოდ სოლიდურ თანხებსაც ხარჯავს. ვფიქრობ, ასეთ აქტივობებს ხელი უნდა შევუწყოთ. თუ ფიქრობთ, რომ ბორის სკოლაში ბავშვთა უფლებები იზღუდება, დაასახელეთ კონკრეტული ფაქტები და ოფიციალურად მიმართეთ შესაბამის ორგანოებს".

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების" თავმჯდომარემ, იუზა კელენჯერიძემ იკითხა, დედის დღესთან დაკავშირებით რა ასაკის ხანდაზმულ დედებზე გაიცა ფულადი დახმარება.

ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის თავმჯდომარის, გივი თხელიძის, დაინტერესება გამოიწვია, თუ როდის მოხდებოდა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან კომპიუტერების შეძენა.

როგორც ნანა კიკნაძემ განმარტა, ოთხმოცდაათ წელს ზემოთ ხანდაზმულ დედებზე გაიცა ფულადი დახმარება, რაც შეეხება წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეებისათვის კომპიუტერების შეძენას, გასულ წელს ამ მიმართულებით ტენდერი ორჯერ ჩავარდა. როგორც მაქვს ინფორმაცია, კიდევ იგეგმება ტენდერის გამოცხადება და უახლოეს მომავალში ეს საკითხი მოგვარდება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა მადლობა გადაუხადა სოციალურ სამსახურს ეფექტური მუშაობისათვის და რამდენიმე საკითხზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, აუცილებელია სოფლებში ექთნებისა და ექიმების დამატება. აღნიშნულთან დაკავშირებით ნანა კიკნაძემ განაცხადა, რომ ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, ჯანდაცვის სამინისტროში წერილი გაგზავნილია.

ბატონი ვარლამი ბაზალეთში მცხოვრებს თეა გლუნჩაძის დახმარების საკითხსაც შეეხო და ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსს თხოვნით მიმართა შესაძლებლობების ფარგლებში ოჯახისათვის დახმარება გაეწიათ. მისივე ინფორმაციით, ქალბატონი თეას ოჯახი მარჩენალდაკარგული და სოციალურად დაუცველია. ჰყავს ორი მცირენლოვანი ბავშვი და მძიმე სოციალური პრობლემები აქვს.

ჯანდაცვისა და სოცილაური სამსახურის ანგარიშს დეპუტატები 4 მაისის საკრებულოს სხდომაზე შეაფასებენ.

ეკა შავიძე

,,ინტელექტის დღის" გამარჯვებული, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის გუნდი გახდა

ხარაგაულში 18 აპრილს „ინტელექტის დღესთან" დაკავშირებით ხარაგაულის №2 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა შორის ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?" გაიმართა. ინტელექტუალურ შეჯიბრში მუნიციპალიტეტის 19 საჯარო სკოლის გუნდი იღებდა მონაწილეობას. გუნდებმა სულ 24 შეკითხვას უპასუხეს, საკუთესო შედეგი კი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიამ აჩვენა. გამარჯვებულები 10 მაისს თბილისში ფინალურ თამაშში მიიღებენ მონაწილეობას.

პროექტის ,,ინტელექტის დღე" ორგანიზატორები არიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალაგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და საქართველოს ინტელექტ კლუბი„რა? სად? როდის?" . „ინტელექტის დღე 2015"-ი მთელი საქართველოს მასშტაბით აღინიშნა.

20 აპრილიდან 20 ივნისის ჩათვლით, ახალი ტიპის პირადობის მოწმობა უფასოდ გაიცემა

საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით, 20 აპრილიდან 20 ივნისამდე ახალი ტიპის პირადობის მოწმობის აღება უფასო იქნება. ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი და არ აქვს აღებული ელექტრონული პირადობის მონმობა, შეუძლიათ მიმართონ იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს, საზოგადოებრივ ცენტრებსა და რეგიონულ განყოფილებებს.

როგორცსამინისტროში აცხადებენ, მოსახლეობის გაბარათიანება ხელს შეუწყობს საარჩევნო სიის დახვეწას.

მილოცვა

შინაარსიანი, საკუთარი პროფესიისა და ადამიანთა თანადგომა–სიყვარულში გატარებული წლების საიუბილეო თარიღს– 75 წლისთავს– ვულოცავ საპატიო ხარაგაულელს, ხარაგაულის ჭეშმარიტ მასპინძელს, ღირსების ორდენის კავალერს, მეცენატსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ იუზა (ვალოდა) კელენჯერიძეს.

ვუსურვებ ჯანმრთელობას, კვლავ ჩვეული შემართებით სვლას საყვარელ ოჯახთან და მასზე უსაზღვროდ შეყვარებულ ხარაგაულის საზოგადოებასთან ერთად.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი

დაბადების საიუბილეო თარიღს, ღირსეული ცხოვრების 75 წლისთავს, ვულოცავთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების" თავმჯდომარეს, პასუხისმგებლობითა და ადამიანებთან ურთიერთობის კულტურით გამორჩეულ პიროვნებას ბატონ იუზა (ვალოდა) კელენჯერიძეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას. დაე, უამრავმა შინაარსიანმა წლებმა დაამშვენოს მისი ბიოგრაფია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ხარაგაულის „ახალგაზრდული საკრებულოს“ შემადგენლობა ცნობილია

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ პროექტს „ახალგაზრდული თვითმმართველობის ინიციატივა 2015“ ახორციელებს. 16 მარტს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მაღალი აკადემიური მოსწრების XI-XII კლასის მოსწავლეებთან შეხვედრა მოეწყო. ა/ო წარმომადგენლებმა ბავშვებს პროექტის არსი გააცნეს და ნორჩ დეპუტატთა გამოსავლენად ტესტირება ჩაატარეს. კონკურსის საფუძველზე ამ ცოტა ხნის წინ უკვე ცნობილი გახდა ხარაგაულის „ახალგაზრდული საკრებულოს“ შემადგენლობა. იგი 34 წევრისგან დაკომპლექტდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლების“ თავმჯდომარემ გიორგი ჭულუხაძემ, ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, „ტესტირების შედეგებით ზოგადად კმაყოფილი ვარ, თუმცა უმაღლესი 10 ქულა მხოლოდ ერთმა ბავშვმა აიღო. ახალგაზრდული საკრებულოს წარმომადგენლები, როგორც საერთაშორისო მიმართულებით ისე საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით აქტიურად იმუშავებენ. ნორჩ დეპუტატებს კვალიფიკაციის ამაღლებაში და თავიანთ სამოღვაწეო სფეროებში უკეთ გათვითცნობიერებაში მაქსიმალურად დავეხმარებით.

შთაბეჭდილებების გაზიარება „ახალგაზრდული საკრებულოს“ ერთ-ერთ წევრს მარიამ დევდარიანს ვთხოვეთ. მარიამი ლეღვნის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეა.

„კმაყოფილი და გახარებული ვარ, რომ დღეს „ახალგაზრდული საკრებულოს“ დეპუტატის სტატუსი მაქვს. ტესტები რთული არ იყო, მაგრამ ვთვლი, რომ უფრო მეტი შესაძლებლობები მაქვს. დარწმუნებული ვარ ჩემი თავის რეალიზებას სრულად მოვახდენ და დაკისრებულ მოვალეობას თავს წარმატებით გავართმევ. ჩვენ, ახალგაზრდა დეპუტატები, მჯერა, რომ მნიშვნელოვან პროექტებს განვახორციელებთ, რომლებიც დადებითად აისახება ჩვენს თაობაზე.“

ხარაგაულელ ნორჩ დეპუტატებთან პირველი შეხვედრა 27 აპრილს გაიმართება. შეხვედრას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ქალბატონი ინგა მაღრაძე, თავმჯდომარის მოადგილე, ქალბატონი მანანა ბარბაქაძე და პროექტით დაინტერესებული დეპუტატები დაესწრებიან. ა/ო-ს წარმომადგენლები მოსწავლეებს ჩაუტარებენ ტრენინგ-სემინარს და მათ საკრებულოს სპეციფიკის გათვითცნობიერებაში დაეხმარებიან. შეხვედრიდან რამდენიმე დღეში დეპუტატები საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე თავიანთ კანდიდატურას წარადგენენ.

თამარ მაღრაძე

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის“ პროექტმა ამოქმედება დაიწყო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ახალ სამთავრობო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს, რომელიც წარმოების შემდგომი განვითარებისა და წახალისებისკენაა მიმართული. 20 აპრილს, პროექტთან დაკავშირებით ქალაქ ზესტაფონში, რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში გაცნობითი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, ქეთევან ბოჭორიშვილი, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დირექტორი, გიორგი ციკოლია და რეგიონებში პროგრამის უშუალო განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ შორის იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე თემურ ჩხეიძე და სხვა დაინტერესებული პირები.

აღნიშნული პროგრამის მიზანი, საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოს შექმნა, არსებული საწარმოს გაფართოება და მათი გადაიარაღების ხელშეწყობაა. პროექტი, ამასთანავე კერძო სექტორის ქონებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებას, საკონსულტაციო მომსახურების გაწევის საშუალებით ფინანსებზე კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ითვალისწინებს.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მეწარმე, ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით, კომერციულ ბანკს მიმართავს, ხოლო ეს უკანასკნელი პროგრამით და მის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით კრედიტს ამტკიცებს. თუ ბენეფიციარი ინდუსტრიული საწარმოს პროექტს წარმოადგენს, ის შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: პირველი - დაფინანსებული სესხით აუცილებლად უნდა შეიქმნას მხოლოდ ახალი საწარმო და მეორე - სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაფინანსებული პროექტი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს სანიტარული და სურსათის უვნებლობის სტანდარტებს. „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის“ პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობას წამოიწყონ საქმე და შემდგომ განავითარონ იგი. „მიკრო და მცირე მეწარმეობის“ ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება 2015 წლის 15 მარტიდან დაიწყო და განცხადებების მიღება 18 მაისამდეა შესაძლებელი.

ბიზნეს იდეის კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს: საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს; პირს რომელიც არაა საჯარო მოხელე; არაა ს.ს.ი.პ. მეწარმეობის სააგენტოს თანამშრომელი ან მისი ოჯახის წევრი (დედა, მამა, შვილი, და, ძმა); განაცხადის შეტანის მომენტში სახელმწიფოს წინაშე არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება; აცხადებს მზაობას ბიზნეს იდეების კონკურსში, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში, დარეგისტრირდეს მეწარმე სუბიექტად და მოიპოვოს სპეციალური დაბეგვრის სტატუსებიდან ერთ-ერთი.

აღნიშნული შეხვედრა მოკლე პრეზენტაციისა და კითხვა – პასუხის ფორმატით გაიმართა, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო უშუალოდ პროგრამის ინიციატორებისა და განმახორციელებლებისგან მიეღო ამომწურავი ინფორმაცია და ჩართულიყო ახალ სამთავრობო ინიციატივაში.

შეხვედრაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ქეთევან ბოჭორიშვილმა პროექტის ეფექტიანობაზე ვრცლად ისაუბრა: ,,მივესალმები სამთავრობო ინიციატივას და ახალი პროექტის „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის“ პროგრამის ამოქმედებას, რომლის მთავარი მიზანი რეგიონებში, მიკრო მეწარმეობის და ბიზნესის გააქტიურებაა. მეწარმეებს ორი მიმართულებით ვეხმარებით, ესენია: უნარების გაუმჯობესება და გაღრმავება, რაც შესაძლებლობას აძლევს მეწარმეს მოამზადოს გამართული ბიზნეს პროექტი, მოახდინოს მისი განვითარება და გაფართოება. გამარჯვებული ბიზნეს პროექტის ავტორები, სახელმწიფოსგან მიიღებენ თანამონაწილეობრივ თანხას, გრანტს ერთ მეწარმე სუბიექტზე არაუმეტეს 5 000 ლარის ოდენობით. თუ მოხდება ორი მეწარმის გაერთიანება, შესაბამისად დაფინანსება მოხდება 10 000 ლარის, ხოლო სამი მეწარმის შემთხვევაში არაუმეტეს 15 000 ლარის ოდენობით. მნიშვნელოვანია, რომ თანხასთან ერთად მეწარმე იღებს განათლებას და აუმჯობესებს უნარებს. ყოველივე ეს კი ერთ–ერთი მთავარი საწინდარია იმისა, რათა შეიქმნას უფრო ჯანსაღი პროექტები, დაიდოს უფრო სიცოხლისუნარიანი პროდუქტები, რომელიც, რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში განვითარდება.“

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიაკითხოთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობას; სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საინფორმაციო–საკონსულტაციო სამსახურს; ქ.ქუთაისში კოსტავას N9 მდებარე ა(ა)იპ საქართველოს სკაუტების ოფისს T 0431 25 55 74 ქ.თბილისში მეწარმეობის განვითარების საააგენტოს მარჯანიშვილის ქ. N 5/16–18 (დ. უზნაძის N 18) T – 0322 96 00 10, ან დაუკავშირდეთ ცხელ ხაზზე 03222 2 99 10 44; 0322 2 99 11 28; ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ასევე web გვერდის საშუალებით www.qartuli.ge.

პროექტის „მიკრო და მცირე მეწარმეების“ ფარგლებში, 1 მაისს 12:00 სთ – ზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ა(ა)იპ საქართველოს სკაუტების წარმომადგენელი დაინტერესებულ პირებს შეხვდება.

თამარ მაღრაძე

,,საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს პრემიის სახით წახალისება არ აკლიათ“

20 აპრილს გამართულ ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ვარლამ ჭიპაშვილმა**, საკრებულოს აპარატის მუშაობაზე გააკეთა განცხადება. მისი თქმით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს აპარატმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ბიუროსა და კომისიების სხდომების ოქმების შედგენა უნდა უზრუნველყოს. ხარაგაულის საკრებულოს აპარატი კი, თუ დავუკვირდებით ამას სათანადოდ ვერ ართმევს თავს. როცა კომისიის სხდომებს ვატარებ, ოქმის გაკეთება მე მიწევს. ეს იმ ფონზე ხდება, როცა ისინი არცთუ ისე დატვირთულები არიან და პრემიის სახით წახალისება არ აკლიათ“.

დეპუტატი უკმაყოფილოა ასევე, რომ არახელსაყრელ პირობებში უწევს მუშაობა. როგორც მან განაცხადა ,,ოთახში ელემენტარულად სანათები, ჩამრთველები და საკეტები არ არის მოწესრიგებული, მით უმეტეს, როცა ამ ცოტა ხნის წინ საკრებულოში ამაზე პასუხისმგებელი ახალი კადრი დაინიშნა. რამდენი ხანია, პრინტერისა და ქსეროქსის ყიდვას ვითხოვ, მაგრამ რეაგირებას არავინ ახდენს. არახელსაყრელ პირობებში მიწევს მუშაობა. არ არის ოთახი, სადაც შეიძლება კომისიის სხდომა ჩავატარო. ყველა ამ საკითხებზე საკრებულოს თავმჯდომარეა პასუხისმგებელი.“

ვარლამ ჭიპაშვილის განცხადებას საკრებულოს აპარატის უფროსი ქალბატონი ლენა კალანდაძე გამოეხმაურა. „საკრებულოს აპარატის ვალდებულება საკრებულოსა და ბიუროს სხდომების დაგეგმვა და დეპუტატების ამის შესახებ ინფორმირება, სხდომებზე განსახილველი საკითხების აღნუსხვა და დღის წესრიგის შედგენაა. საკრებულოს აპარატს საკმაოდ დიდი ფუნქცია აკისრია. ყველა იმ საკითხის განხილვა თუ მომზადება, რომელიც შემდგომ სხდომებზე იხილება, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მთლიანად ჩემი პრეროგატივაა. საქმე ძალიან ბევრი მაქვს, საკრებულოს აპარატი მხოლოდ საკრებულოსა და ბიუროს სხდომების ოქმების შედგენას უზრუნველყოფს. რაც შეეხება კომისიებს, სხდომის ოქმებს კომისიების თავმჯდომარეები თავად უნდა აკეთებდნენ.“

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო მომსახურებისა და ტრანსპორტის რეგულირების შესწავლის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფი უქმდება

20 აპრილს გამართულ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, შალვა ლურსმანაშვილმა,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N119 განკარგულებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნა წარმოადგინა და შესაბამისად მისი გაუქმებაც მოითხოვა. შეგახსენებთ, რომ ჯგუფი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო რეგულირების საკითხს სწავლობდა.

შავლა ლურსმანაშვილის ინფორმაციით, ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანისა და მომსახურების პირობები. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტში მგზავრთა გადაყვანა ხორციელდება, როგორც მუნიციპალური ტრანსპორტით, ასევე სააქციო საზოგადოება ,,ავტოტრანსის“ მეშვეობით. დაფიქსირდა, რომ სააქციო საზოგადოება ,,ავტოტრანსის“ მიერ არ არის დაცული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იან-

▶4 გვ.

აუდიტორული დასკვნა გაწეულ აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებით

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და შპს „აუდიტ-გარანტი 2007“-ს შორის 2015 წლის 18 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის №58 ხელშეკრულების თანახმად, შპს „აუდიტ-გარანტი 2007“-მა ჩაატარა „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის“ 2014 წლის ფინანსური ანგარიშების და ბუღალტრული აღრიცხვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტორული მომსახურებას.

2014 წლის ბიუჯეტის ანგარიშთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია „მუნიციპალიტეტის“ ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით და გავცეთ დასკვნა.

„მუნიციპალიტეტი“ თავის საქმიანობის ფარგლებში ხელმძღვანელობდა ქვეყანაში მოქმედი სააღრიცხვო პრაქტიკით, ჩვენ კი აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი ასევე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ვერ დავაკვირდით „მუნიციპალიტეტის“ ბალანსზე აღრიცხულ ძირითადი საშუალებებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის პროცესს, ასევე არ გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების საშუალებითაც.

ჩვენი აზრით, გარდა მოცემული საკითხებთან დაკავშირებული კორექტირებისა, თუ ასეთს ადგილი ექნებოდა, წარმოდგენილი 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება (რომელიც ეფუძნება ბუღალტრულ ჩანაწერებს) არ შეიცავს არსებით უზუსტობებს და სამართლიანად ასახავს „მუნიციპალიტეტის“ ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღისათვის.

შპს „აუდიტ-გარანტი 2007“-ის
დირექტორი, აუდიტორი
(სერთიფიკატი, ზოგად აუდიტში
№5/377) მ. ფორჩხიძე
აუდიტორი
ერტიფიკატი: ზოგად აუდიტში №6/316;
საჯარო სექტორში N 0006)
ნ. ხიჯაკაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო მომსახურებისა და ტრანსპორტის რეგულირების შესწავლის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფი უქმდება

დასაწყისი გვ.3

ვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის ,,ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის“ მოთხოვნები. კერძოდ, ავტობუსი ეკიპირებულ უნდა იქნეს: მძღოლის სახელისა და გვარის, გადამზიდველის დასახელების, მისამართის, ტელეფონის ნომრის და მგზავრობის ღირებულების აღმნიშვნელი ტაბლოთი, რომელიც განთავსებული უნდა იყოს ავტობუსის სალონში მგზავრთათვის თვალსაჩინო ადგილზე. ასევე არ არის მინიშნებული ავარიული გასასვლელების მაჩვენებლი ნიშნები და ადგილების (სავარძლების) ნუმერაციის მაჩვენებლები. გარდა ამისა, მძღოლების მიერ ხშირად ხდება სტანდარტით გათვალისწინებულზე მეტი მგზავრის გადაყვანა დანიშნულების ადგილამდე, სათანადოდ არ მონმდება ტრანსპორტის ტექნიკური გამართულობა, მძღოლი არაა უზრუნველყოფილი ბილეთებით გზადაგზა აყვანილი მგზავრებისათვის (იმ შემთხვევაში, თუ განრიგით გათვალისწინებულ გაჩერების პუნქტში არ არის ავტოსადგური). არაა დაცული ტექნიკური რეგლამენტის ,,ავტოსადგურის ფუნქციონირების წესისა და პირობების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N422 დადგენილების მოთხოვნები: ავტოსადგურის ტერიტორიაზე და შენობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანიტარულ-ჰიგიენური და სახანძრო უსაფრთხოების წესები, მძღოლები არ გადიან წინასარეისო სამედიცინო შემოწმებას, რაც საშიშროებას უქმნის არა მარტო აღნიშნული ტრანსორტით მოსარგებლე მოქალაქეებს, არამედ საფრთხეს უქმნიან ქვეითად მოსიარულეთაც და სხვა სატრანსპორტო საშაულებით მოსარგებელე მგზავრსაც.

ბიუროს წევრების გადაწვეტილებით დროებითი სამუშაო ჯგუფის გაუქმების საკითხი შეტანილ იქნა 4 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ეკა შავიძე

საგაზაფხულო ზეიმი ხარაგაულის N2 საბავშვო ბაგა-ბაღში

23 აპრილს ხარაგაულის N2 საბავშვო ბაგა-ბაღში (გამგე ქეთევან ღომსაძე) 1-დან 3-წლამდე ასაკობრივ ჯგუფში თემაზე ,,გაზაფხული“ პრეზენტაცია გაიმართა. ზეიმს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ქალბატონი ირმა სებისკვერაძე და N1 საბავშვო ბაღის აღმზრდელები ესწრებოდნენ. ღონისძიებას მუსიკალურად ქალბატონი თამარ ოსანაძე აფორმებდა.

ბავშვებმა გაზაფხულის მშვენიერება და მომხიბვლელობა თავიანთი ლექსებითა და სიმღერებით წარმოადგინეს. აღმზრდელის ელზა ბანცაძის დაუღალავი შრომით, მისი უშრეტი ენერგიის წყალობით ბავშვებმა ნამდვილად შეძლეს, მაყურებლამდე სწორად მოეტანათ ემოცია. ღონისძიების დასასრულს ბაღის აღმზრდელებმა ბავშვებს თოჯინების თეატრი „ალალ მეო“ წარუდგინეს, რომელიც კეთილი კურდღლის თავგადასავალზე მოგვითხრობდა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ქალბატონი თამარ გაჩეჩილაძე გახლავთ. მისი ჩანაფიქრი, ამ ასაკიდანვე გაუღვივოს ბავშვებს

კეთილის ბოროტზე გამარჯვების არსი, ნამდვილად გამოიღებს შედეგს მომავალში პატარების პიროვნებებად ჩამოყალიბებაში.

თეა ბერიძე

22 აპრილს საბავშვო სპექტაკლ ,,სათაგურის“ მორიგი ჩვენება გაიმართა

22 აპრილს ხარაგაულის კინოთეატრში საბავშვო სპექტაკლი ,,სათაგური“ კიდევ ერთხელ იქნა ნაჩვენები. სპექტაკლს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის N1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან, მათ მშობლებთან და აღმზრდელ-პედაგოგებთან ერთად დაესწრო. სპექტაკლი ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებულმა „ ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა“ წარმოადგინა. სპექტაკლის რეჟისორი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე გახლავთ.

მუნიციპალიტეტის გამგებელი გულთბილად მიესალ-

მა და მადლობა გადაუხადა თეატრის რეჟისორს ირინე ჩხეიძეს და სპექტაკლის მონაწილეებს.

კობა ლურსმანაშვილი: „გახარებული და ბედნიერი ვარ ასეთი კარგი სპექტაკლის ნახვით. სასიხარულოა, რომ ხარაგაულში ნიჭიერი და გამორჩეული თაობა იზრდება. ეს წარმატება ირინე ჩხეიძის დამსახურებაა. თითქოს მივეჩვიეთ, რომ ხარაგაულის კულტურის სფეროს წარმომადგენლები ფესტივალებიდან ყოველთვის გამარჯვებულები, პრიზებით, ჯილდოებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან. კარგად ვიცი ამისთვის რაოდენ დიდი შრომაა საჭირო. ალბათ ყველა მუნიციპალიტეტი ისურვებდა ისეთ წარმატებას, როგორიც ხარაგაულს კულტურის სფეროში აქვს,. ყოველივე ამისათვის მინდა მადლობა გადავუხადო ხარაგაულის კულტურის სფეროს მესვეურებს.“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო მომსახურებისა და ტრანსპორტის რეგულირების შესწავლის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნის განხილვის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29–ე მუხლისმე–2 პუნქტისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 34 მუხლის მე–7 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო მომსახურებისა და ტრანსპორტის რეგულირების შესწავლის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად (დასკვნა თან ერთვის) დროებითი სამუშაო ჯგუფს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 34 –ე მუხლის მე–7 პუნქტის შესაბამისად შეუწყდეს უფლებამოსილება.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ა.ა.ი.პ. ,,კულტურის ცენტრისათვის “ დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა №12–ში მდებარე მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული კინოთეატრის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაცემის ხელშეკრულების ვადის გასაგრძელებლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდესის“ 122–ე მუხლის მე–2, მე–4 და მე-6 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს ა.ა.ი.პ. ,,კულტურის ცენტრისათვის “ დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა №12–ში მდებარე მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული კინოთეატრის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაცემის ხელშეკრულების ვადის გასაგრძელებლად მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

გამომცემელი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გაზეთი ა(ა)იპ „ახალი ხარაგაული“.
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25;
ტირაჟი 1000 ცალი

რედაქტორი: ეკა შავიძე
ტელ.: 595 51 98 12
სარედაქციო კოლეგია:
თეა ბერიძე
თამარ მაღრაძე

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. გაზეთში დაბეჭდილი მასალებისა და სურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის თანხმობით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.